საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №32/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 18 მარტის №32 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 14 მაისის №32/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- მიკერძოებულად განიხილა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულების -- -- და -- -- მიმართ. კერძოდ, საჩივრის ავტორის შეფასებით, 2019 წლის 9 მარტს, ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო განხილვის ეტაპზე, მოსამართლემ -- -- დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა და ბრალდების მხარეს მისცა შუამდგომლობის ზეპირი ფორმით დაყენების შესაძლებლობა. ამასთან, საჩივრის ავტორის შეფასებით, მოსამართლემ დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა და დაცვის მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მტკიცების ტვირთი, ბრალდების მხარის ნაცვლად, მთლიანად დააკისრა დაცვის მხარეს.

2.2. საჩივრის ავტორი დისციპლინურ საჩივარში ასევე აღნიშნავს, რომ მოსამართლემ დაარღვია ეთიკის სტანდარტები და პროცესში მონაწილე ადვოკატის მიმართ გამოიჩინა აშკარად უპატივცემულო და ცინიკური დამოკიდებულება. კერძოდ, საჩივრის ავტორის განმარტებით, 2020 წლის 09 მარტის სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, მოსამართლე -- -- ადვოკატი -- -- მოიხსენია ისეთი სიტყვებით როგორიცაა „მოუმზადებლად მისული ადვოკატი,“ რითაც შელახა ადვოკატის ავტორიტეტი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, 2020 წლის 21 თებერვალს, საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით, სისხლის სამართლის საქმე №-- ბრალდებულების -- -- -- -- და -- -- მიმართ, განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- --.

სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი წინასასამართლო სხდომის ოქმების დეტალური შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ 2020 წლის 9 მარტს საქმეზე გაიმართა წინასასამართლო სხდომა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ მოსამართლე -- --, სხდომის -- --, პროკურორი -- --, ბრალდებულები: -- --, -- --, -- -- და მათი ადვოკატები: -- --, -- -- და -- --.

ზემოაღნიშნული სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, მხარეებმა დააყენეს შუამდგომლობები მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. სასამართლო სხდომის 11 საათსა და 48 წუთზე, პროკურორმა -- -- სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა და დაცვის მხარისგან მოითხოვა იმ გარემოებების დაზუსტება, რომლის საფუძველზეც დაცვის მხარე აპირებდა მტკიცებულებათა ნუსხაში წარდგენილი ზოგიერთი მოწმის დაკითხვას.

სასამართლო სხდომის 11 საათსა და 54 წუთზე, მას შემდეგ რაც სასამართლოზე მოსმენილ იქნა ადვოკატის -- -- პოზიცია, მოწმეთა დაკითხვის საფუძველთან დაკავშირებით, პროკურორმა -- -- სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა დაცვის მხარის რამოდენიმე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე. ამასთან, პროკურორმა განმარტა, რომ ვინაიდან აღნიშნული მტკიცებულებების დაუშვებლობის საფუძველი ბრალდების მხარისთვის ცნობილი გახდა მიმდინარე სასამართლო პროცესზე (ადვოკატის განმარტებების მოსმენის შემდეგ), მას ჰქონდა შუამდგომლობის ზეპირი ფორმით დაყენების საპროცესო უფლება და ითხოვა სასამართლოზე შუამდგომლობის განხილვა.

სასამართლომ განიხილა ბრალდების მხარის ზემოაღნიშნული შუამდგომლობა და მოისმინა დაცვის მხარის პოზიცია. სასამართლო სხდომის 12 საათსა და 25 წუთზე, მოსამართლე -- -- ადგილზე თათბირით, მიიღო განჩინება მხარეთა შუამდგომლობების საფუძველზე მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. მათ შორის, მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა დაცვის მხარის მტკიცებულებათა ნუსხიდან ზოგიერთი მტკიცებულების ამორიცხვის შესახებ.

სასამართლომ განჩინების დასაბუთებისას განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტული მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ. სასამართლოს შეფასებით, დაცვის მხარემ ვერ შეასრულა ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა და ვერ წარუდგინა სასამართლოს შესაბამისი საფუძველი კონკრეტული მტკიცებულების დასაშვებობის თაობაზე.

ამასთან, ვინაიდან პროკურორის შუამდგომლობა დაცვის მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობის თაობაზე წარდგენილი არ ყოფილა წერილობით ფორმით, სასამართლომ დამატებით გააკეთა განმარტება. კერძოდ, მოსამართლემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ბრალდების მხარისთვის სასამართლო პროცესამდე უცნობი იყო დაცვის მხარის მოტივაცია და დასაბუთება წარმოსადგენ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, კონკრეტულ შემთხვევაში შუამდგომლობის განხილვა არ ეწინააღმდეგებოდა საპროცესო კანონმდებლობას.

სასამართლოს მიერ, ზემოაღნიშნული განჩინების გამოცხადებისა და მისი განმარტების პროცესში, სხდომის 12 საათსა და 28 წუთზე ადვოკატი -- -- მოსამართლეს ჩაერთო საუბარში. აღნიშნული მიზეზით, მოსამართლე -- --, სასამართლოს უპატივცემულობისთვის -- -- გამოუცხადა შენიშვნა და მოუწოდა წესრიგის დაცვისკენ.

მიუხედავად სასამართლოს შენიშვნისა, ადვოკატმა -- -- კვლავ განაგრძო დიალოგი მოსამართლესთან და სხდომათა დარბაზში საუბარი. სასამართლო სხდომის 12 საათსა და 29 წუთზე, მოსამართლე -- -- ადვოკატს განმეორებით მისცა შენიშვნა და გააფრთხილა, რომ თუკი არ დაასრულებინებდა განჩინების სასამართლო დარბაზში გამოცხადებას, მოსამართლე მიიღებდა კანონით გათვალისწინებულ ზომებს.

მიუხედავად მოსამართლის არაერთი გაფრთხილებისა, -- -- არ აძლევდა მოსამართლეს განჩინების გამოცხადების შესაძლებლობას. რის საფუძველზეც, სასამართლო სხდომის 12 საათსა და 31 წუთზე მოსამართლე -- -- დააჯარიმა ადვოკატი -- -- ჯერ 100 ლარით, შემდეგ 200 ლარით, ხოლო მოგვიანებით, იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატი არ ემორჩილობდა მოსამართლის მითითებებს, მიიღო განკარგულება ადვოკატის სხდომათა დარბაზიდან გაძევების თაობაზე.

ადვოკატის -- -- სასამართლო დარბაზიდან გაძევების შემდეგ, მოსამართლე -- --განმარტა, რომ დაცვის მხარის მითითება სასამართლოსთვის იმის შესახებ, რომ არ იტყვის რა საფუძვლით უნდა დაკითხოს პირი სასამართლოში, წარმოადგენს სასამართლოს უპატივცემულობას. ამასთან, მოსამართლემ აღნიშნა, რომ დაცვის მხარის განცხადება იმის თაობაზე, რომ კონკრეტული საფუძვლის ძებნა საქმეში დიდ დროს მოითხოვს მიუღებელი არგუმენტია. მოსამართლის განმარტებით *„მხარე სასამართლოში ან შესაბამისად მომზადებული უნდა მივიდეს ან უნდა იყოს მზად, რომ იმწუთიერად გასცეს პასუხი სასამართლოს.“*

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 14 მაისის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 18 მარტის №32 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

1. **არ შეიცავს** მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს.
2. **შეიცავს** მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

ამასთან, გასათავალისწინებელია, რომ მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ბრალეული ქმედების ჩადენისთვის, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ობიექტურად შეეძლო დისციპლინური გადაცდომის თავიდან ასაცილებლად სათანადო ქმედების განხორციელება, მაგრამ არ განუხორციელებია ის.[1]

4.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- იყო მიკერძოებული, რადგანაც ბრალდების მხარეს მისცა შუამდგომლობის ზეპირი ფორმით დაყენების შესაძლებლობა და დაცვის მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მტკიცების ტვირთი, ბრალდების მხარის ნაცვლად, მთლიანად დააკისრა დაცვის მხარეს.

[1] იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი

შესაბამისად, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლეების მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

ამ მიმართებით მნიშვნელოვანია, ბანგალორის პრინციპების კომენტარები, რომლის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები.[2]

იმისათვის, რომ მოსამართლის ქმედება მიჩნეულ იქნეს პირადი ინტერესით, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით განხორციელებულად, მოსამართლემ უფლებამოსილება ბოროტად უნდა გამოიყენოს ან/და ის უნდა მოქმედებდეს არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებულად, მას უნდა გააჩნდეს რაიმე პირადი ინტერესი ან უნდა მიიღოს სარგებელი კონკრეტული საქმიდან. თუ მოსამართლე დაუშვებს შეცდომას, მაგრამ დადგინდება, რომ იგი უფლებამოსილებას ახორციელებდა შინაგანი რწმენისა და კეთილსინდისიერების საფუძველზე, მიიჩნევდა, რომ მოქმედებდა მართლზომიერად და არ გააჩნდა პირადი ინტერესი, მაშინ აღნიშნული საფუძვლით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია.[3]

ბანგალორის მეორე ღირებულებას წარმოადგენს მიუკერძოებლობა, რომლის თანახმადაც, მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას. ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე; ხოლო 2.2 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და ობიექტური ტესტით, უზრუნველყოფილია თუ არა სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (*Fey v. Austria* §28 და §30; *Wettstein v. Switzerland*, §42). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს (*Pullar v. the United Kingdom*, § 32).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც „მოსამართლის მიერ წინასწარ შექმნილი აზრის არ ქონა“. მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. შესაბამისად, ვინაიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს მართლმსაჯულების ლეგიტიმურობის გარანტიას, ნებისმიერი წინაღობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ რწმენას უნდა

[2] ,,მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 99

[3] მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი, თბილისი 2014, გვ. 24
http://coalition.ge/files/analysis_of_the_judicial_liability_system_ge.pdf

იქნეს გამორიცხული და ნებისმიერი მოსამართლე, რომელთან მიმართებითაც ვერ იქნება მიუკერძოებლობის აღქმა უზრუნველყოფილი, აცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან. საქმეზე MORICE v. FRANCE სასამართლომ აქცენტი გააკეთა ობიექტურობის ტესტზე და განმარტა, რომ არ არსებობს მკაფიო გამიჯვნა სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, ვინაიდან მოსამართლის ქცევამ შეიძლება არა მხოლოდ გამოიწვიოს ობიექტური უნდობლობა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გარე დამკვირვებლის თვალში (ობიექტური ტესტი), არამედ შეიძლება შეეხოს მისი შინაგანი რწმენის საკითხს (სუბიექტურობის ტესტი). ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიმართ არსებობს ლეგიტიმური მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ის არ არის სრულიად მიუკერძოებელი, უნდა ჩამოსცილდეს საქმეს.

განსახილველ შემთხვევაში ასევე ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება დააყენონ ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შუამდგომლობა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. წერილობითი შუამდგომლობა უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს. ზეპირი შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს ოქმში. სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს იმავე სასამართლო სხდომაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე უფლებამოსილია განიხილოს მხარეთა შუამდგომლობები მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე.

ამრიგად, მოსამართლე -- --, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემობებიდან გამოდინარე, მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად და მოსამართლის ქმედებებში არ იკვეთება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

4.2. რაც შეეხება მოსამართლის მხრიდან კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპის შესაძლო დარღვევის ფაქტს, აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა“ მოიაზრება კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპის დამრღვევ ქმედებად.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შეფასდეს გვაქვს თუ არა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

საკითხის შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ როგორც ეთიკის სტანდარტები, ასევე საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები. კერძოდ:

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და

სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა. იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისგან მოითხოვოს კორექტური დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

სასამართლო სხდომაზე და მის გარეთ მოსამართლე ყოველთვის თავაზიანი უნდა იყოს და პატივს უნდა სცემდეს გარშემო მყოფთა ღირსებას. მოსამართლე ასეთსავე დამოკიდებულებას უნდა მოითხოვდეს სასამართლო განხილვის ყველა მონაწილისაგან, როგორც სასამართლოს თანამშრომლების, ისე სხვა, მის დაქვემდებარებაში თუ კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისაგან.[4]

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.6 ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე იცავს წესრიგსა და ეტიკეტს ყველა სასამართლო განხილვის მსვლელობისას და მოქმედებს მოთმინებით, ღირსეულად და თავაზიანად სასამართლო სხდომის მხარეთა, ნაფიც მსაჯულთა, მოწმეთა, ადვოკატებისა და სხვა პირების მიმართ, რომლებსაც მოსამართლე მიმართავს თავისი ოფიციალური სტატუსიდან გამომდინარე. მოსამართლემ უნდა მოსთხოვოს ასეთივე ქცევა მხარეთა კანონიერ წარმომადგენლებს, სასამართლოს თანამშრომლებს და სხვა მოსამართლის გავლენის, მის დაქვემდებარებაში თუ მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებს.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.6 ქვეპუნქტი თავის თავში მოიცავს რამდენიმე მიმართულებას მათ შორის მოსამართლის ადვოკატთან დამოკიდებულების ეთიკურ სტანდარტებს კერძოდ, კომენტარების 214-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ ადვოკატთან ურთიერთობის პროცესში, ... მოსამართლემ არასდროს არ უნდა გააწყვეტინოს ადვოკატს სიტყვა უსაფუძვლოდ და მრავალგზის, არ უნდა გააკეთოს შეურაცხმყოფელი ან დამცინავი კომენტარი ადვოკატის მიერ მოყვანილი მოსაზრებების თაობაზე. მეორე მხრივ, არცერთი მოსამართლე არ არის ვალდებული, მოუსმინოს ადვოკატს, რომელიც ბოროტად იყენებს პროცესს, აშკარად უსაფუძვლო და გაუმართლებელი, სუსტი მოსაზრებები მოჰყავს, ან შეურაცხყოფას აყენებს მოსამართლეს, სხვა ადვოკატებს, საქმის მხარეებსა თუ მოწმეებს, და არ შეაწყვეტინოს მას სიტყვა.[5]

განსახილველ შემთხვევაში ასევე ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პროცესის მონაწილის ან/და სასამართლო სხდომაზე დამსწრის მიერ სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს მას და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. აღნიშნული მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, მოსამართლის მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს სასამართლოდან მის გაყვანას; ამასთანავე, აღნიშნული პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა ან პატიმრობა.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე შესწავლილი ფაქტობრივი გარემოებებიდან დადგინდა, რომ 2020 წლის 9 მარტის სასამართლო პროცესზე განვითარებული მოვლენების პროცესში, მოსამართლე -- -- მოქმედებდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან, ადვოკატი -- --, მოსამართლის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, სასამართლოს მიმართ

[4] იხ. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები გვ. 196
http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf

[5] იხ. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები გვ. 196
http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf

იჩენდა უპატივცემულობას. ასეთ ვითარებაში, მოსამართლეს ჰქონდა, როგორც ეთიკური, ასევე სამართლებრივი საფუძველი ემოქმედა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

ამავე ორგანული კანონის 75^{8} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და წინასწარი შემოწმებისათვის ამ კანონის 75^{7} მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 9 წევრმა („ა.ა“ ქვეპუნქტის მიმართ) და 10 წევრმა („ვ.ბ“ ქვეპუნქტის მიმართ) ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{8} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №32/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი